Sandro Ustiashvili

MA in Journalism

ECOLOGY AS A HISTORICAL BRIDGE

(Abstract)

KEYWORDS: Independence, Cradle of Europeanness, Ecology, Regulations, Copyright

This article examines the enduring and complex partnership between Georgia and European nations in the realm of environmental conservation. The author pursues four main objectives. First, to demonstrate that Georgia is intentionally aligning itself with European civilisation rather than being compelled to do so. Second, to highlight the deep historical roots of this decision. Third, to analyse Georgia's ecological history and its current condition. Lastly, to evaluate Georgia's approach to environmental protection as a reflection of European values.

Numerous studies have explored the relationships between Georgia and European countries across various domains, including politics, defence, education, sports, culture, economy, and law. However, there is a significant lack of research from an ecological perspective. A substantial amount of factual information warrants thorough investigation.

In this article, the author takes a proactive step to address this research gap by focusing on contemporary ecological issues that have not received adequate attention in either print or digital media. This aspect of the research is particularly vital, considering that climate change is one of the most pressing challenges of our time, impacting all nations globally.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

სანდრო უსტიაშვილი
ჟურნალისტიკის მაგისტრი

ეკოლოგია, როგორც ისტორიული ხიდი
(ქართველების ევროპელ ერებთან ურთიერთობა)

საკვანძო სიტყვები: დამოუკიდებლობა, ევროპელობის აკვანი, ეკოლოგია, რეგულაციები, საავტორო უფლება

1. თავისუფლებისმოყვარე ერი ორი ეპოქის მიჯნაზე

31 წლის წინათ ოფიციალურად დაშლილად გამოცხადდა „ბოროტების იმპერიად“ ცნობილი საბჭოთა კავშირი. დედამიწის თითქმის 1/6-ზე გადაჭიმულ, უზარმაზარ ქვეყანაში საქართველო, სხვა დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან ერთად, იძულებით შეიყვანეს.

ქართველები, რომელთა სახელმწიფოებრივი არსებობა 30 საუკუნეზე მეტს ითვლის, ყოველთვის გამოირჩეოდნენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლით. ასე იყო მე-19 და მე-20 საუკუნეებშიც. მეფის რუსეთის 117-წლიანი იძულებითი მმართველობის დასრულების შემდეგ, 1918 წლის 26 მაისს, საქართველომ მიიღო დამოუკიდებლობის აქტი, რომლის საფუძველზეც იგი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. თუმცა, 1921 წლის თებერვალში კვლავ დამპყრობელი მეზობლის, რუსეთის მარწუხებში მოექცა.

ამ ფაქტიდან 70 წლის შემდეგ, 1991 წლის 31 მარტს საქართველოში გაიმართა სახალხო რეფერენდუმი, რომელზეც ამომრჩევლებს ერთადერთ კითხვაზე მოუწიათ პასუხის გაცემა: „თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“ კითხვას დადებითად უპასუხა ამომრჩეველთა 99%-მა.

იმპერიიდან განთავისუფლებისა და მის ერთ-ერთ რეგიონში – აფხაზეთში სამხედრო კონფლიქტის დასრულების შემდეგ, საქართველომ დაიწყო აქტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება ევროპელი ერების დიდ ოჯახთან – ევროკავშირთან. ეს ურთიერთობა მოიცავს პრაქტიკულად ყველა სფეროს. ევროპულმა სახელმწიფოებმა თავიდანვე გამოგვიწოდეს მჭიდრო მეგობრობისა და პარტნიორობის ხელი. ეს ფაქტორი დღემდე გვეხმარება, რომ გავხდეთ ევროკავშირისა და ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრი სახელმწიფო. ევროპასთან ინტეგრაცია უმთავრესი პრიორიტეტია საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლებისთვისაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპელ ერებთან და ევროპულ კულტურასთან ინტეგრაცია ქართველებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არ დაგვიწყია. ამ პროცესს გაცილებით დიდი ხნის ისტორია აქვს. თუმცა, ამ შემთხვევაში გვინდა ვისაუბროთ ევროპულ ცივილიზაციასთან დამაკავშირებელ, ისეთ საინტერესო ფაქტორზე, როგორიცაა ეკოლოგია. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს თემა ჯერ სათანადოდ შესწავლილი არაა.

2. ძველი კოლხეთი – ქართველთა ევროპელობის აკვანი

მსოფლიო მწერლობის ერთ-ერთ პირველ შედევრებად ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეას“ მიიჩნევენ. ჰომეროსი ოდისევსის მოგზაურობას ადარებს არგონავტების ჩასვლას ძველ კოლხეთში. ეს მითი მოგვითხრობს, როგორ ესტუმრა საბერძნეთის ტახტის მემკვიდრე იასონი დასავლეთ საქართველოში არსებულ, იმ დროისთვის ძლიერ სამეფო კოლხეთს ოქროს საწმისის წამოსაღებად. აქ იგულისხმება ცხვრის ტყავი, რომლის მეშვეობით მდი-

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ნარეთა სანაპიროებზე ოქროს მოიპოვებდნენ. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, არგონავტები ხსენებულ ქართულ სამეფოში ოქროს მოპოვების ტექნოლოგიის წასაღებად ჩამოვიდნენ. ეს მითიც მიანიშნებს, რომ შავი ზღვისპირეთში არსებულ სამეფოს ოდითგანვე მჭიდრო სავაჭრო, საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა ბერძნებთანაც და სხვა ევროპელ ხალხებთანაც. მეტიც, დასავლეთ საქართველოში არსებობდა ბერძნული პოლისები, სადაც სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ცხოვრობდნენ. ეს ფაქტები ცნობილია, თუმცა ცოტამ თუ იცის, ძველი კოლხები რა ეკოლოგიურ ფუნქციას ასრულებდნენ: პროფესორი სერგი მაკალათია და ეთნოგრაფი ალექსანდრე ჭყონია თავიანთ კვლევებში მიუთითებენ, რომ სიმდიდრითა და სტუმარმოყვარეობით ცნობილი კოლხები ზღვის ღელვას გადარჩენილ უცხოელ მოგზაურებს დიდ დახმარებას უწევდნენ როგორც საკვებითა და თავშესაფრით უზრუნველყოფის, ისე ხომალდების შეკეთების თვალსაზრისით.

ამას გარდა, კოლხეთში ჩამოსული ადამიანები სწავლობდნენ, როგორ უნდა გამკლავებოდნენ ჭარბ ნალექებს და მისგან წარმოქმნილ პრობლემებს. ისინი გაოცებას ვერ მალავდნენ ძველი კოლხების საცხოვრებელი სახლის დანახვაზე, რომლებიც ხის ფეხებზე შემდგარ, მცირე კოშკების მსგავს შენობებს წარმოადგენდა. ასეთსავე დამხმარე შენობებში ჰქონდათ დაცული მარცვლეული და სხვა საკვები პროდუქტები.

ძველ კოლხებზე შექმნილი ნაშრომების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი ეკონომიკური, სამხედრო, ხუროთმოძღვრული და სხვა დარგებში მიღწეული წარმატებების უპირველესი მიზეზი იყო ის, რომ შავი ზღვისპირეთში არსებულ ნესტიან, უხვნალექიან ეკოლოგიურ გარემოსთან კარგად იყვნენ შეგუებულნი.

ბიზანტიელი ჟამთააღმწერლის, იმპერატორ იუსტინიანე I-ის ისტორიკოსის, პროკოპი კესარიელის ნაშრომებმა უამრავი საყურადღებო ცნობა შემოგვინახა ძველ კოლ-

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ხეთზე. პროკოპი კესარიელის გადმოცემით, ევროპული ქვეყნებიდან ჩასული სტუმრების ყურადღებას იქცევდა კოლხების მიერ ტყეების მიმართ გამოვლენილი ზრუნვა და პატივისცემა. ტყეები ხომ მათ საკვებსა და სათბობს აძლევდა, ხოლო ომიანობის დროს გახიზვნის საშუალებას წარმოადგენდა. მეტიც, ხსენებული ჟამთააღმწერლის ცნობით, დღევანდელი სამეგრელოსა და აფხაზეთის ტერიტორიებზე, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე, გავრცელებული ყოფილა ისეთი სახეობის ხის თაყვანისცემა, როგორიცაა მუხა. ეს ნიშნავს, რომ ძველი კოლხების სამშობლოსადმი სიყვარული და მისი სამსახური ტყეებზე ზრუნვითაც გამოიხატებოდა.

3. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები და რთული ეკოლოგიური გარემოს ეფექტურად გამოყენების პრაქტიკა

ეკოლოგიური თვალსაზრისით, რთული საარსებო პირობების მოსახლეობის სასიკეთოდ გამოყენების მაგალითები ჭარბადაა საქართველოს ისტორიაში. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა საქართველოში კლდეში ნაკვეთი ქალაქების არსებობა:

1) დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი – თარიღდება მე-6-7 საუკუნეებით;
2) უფლისციხის ხუროთმოძღვრული კომპლექსი – თარიღდება მე-7-8 საუკუნეებით;
3) ვანის ქვაბები, ანუ ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კლდეში ნაკვეთი ხუროთმოძღვრული კომპლექსი – თარიღდება მე-8-9 საუკუნეებით;
4) ვარძიის სამონასტრო კომპლექსი – თარიღდება მე-12-13 საუკუნეებით.

მართლაც, წარმოუდგენელია, მრავალი საუკუნის წინ, მაშინ არსებული პრიმიტიული სამუშაო იარაღებით

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

როგორ ახერხებდნენ კლდეში იმხელა საარსებო სივრცეების შექმნას, სადაც რამდენიმე ასეული ადამიანის ომის დროს დამალვა და ცხოვრება იქნებოდა შესაძლებელი. სამყოფ სენაკებთან ერთად, აქ გვხვდება მცირე ზომის ეკლესიები, წყლის რეზერვუარები და საკვები პროდუქტების შესანახი სათავსოებიც.

2018 წელს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, მსოფლიოს ექვსი ქვეყნის ძეგლებთან ერთად, მოხვდა ევროპის უდიდესი ორგანიზაცია „ევროპა ნოსტრას“ (აერთიანებს ევროპის ქვეყნებში მოქმედ 150-ზე მეტ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლებიც ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლების რეაბილიტაციაზე ზრუნავენ) საფრთხეში მყოფი ძეგლების ფინალურ სიაში. იმავე წელს „ევროპა ნოსტრას“ დელეგაციამ ადგილზე მოინახულა კახეთის რეგიონში – საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არსებული ეს ძეგლი და ქართველ კოლეგებს დაჰპირდა, რომ უახლოეს წლებში იქ არსებული პრობლემების საფუძვლიანი შესწავლა, შემდგომ კი მისი რეაბილიტაცია დაიწყება.

4. გერმანელი მეგობრებისგან მიღებული საუკეთესო გაკვეთილები

საქართველოს ისტორიაში შევხვდებით ბევრ ისეთ ფაქტს, როდესაც ქართველები სხვადასხვა სფეროში დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდნენ მეგობარი ერების წარმომადგენლებს და ამავდროულად, მათგანაც სიამოვნებით სწავლობდნენ ბევრ რამეს. ამ კუთხით გვინდა გავიხსენოთ ქართველებისა და გერმანელების დიდი მეგობრობის, თანამშრომლობისა და გვერდიგვერდ ცხოვრების საინტერესო ისტორია. ვგულისხმობთ საქართველოში გერმანელთა მასობრივ მიგრაციას და დასახლებას მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში.

იბადება კითხვა: რატომ გადაწყვიტეს გერმანელებმა საქართველოში ჩამოსვლა?

მოვლენებს წინ გავუსწრებთ და აღვნიშნავთ, რომ ერთ-ერთი პირველი გერმანელი, რომელმაც 1396-1417 წლებში საქართველოში იმოგზაურა, გახლდათ მოგზაური და სწავლული, გვარად შიტბერგერი. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მან თანამემამულეებს მოუთხრო საქართველოს ულამაზესი ბუნების, ღირსშესანიშნაობებისა და აქაური სტუმართმოყვარეობის შესახებ. შემდგომში საქართველოს არაერთი გერმანელი მოგზაური, დიპლომატი, მწერალი თუ მეცნიერი სტუმრობდა. ისტორიული წყაროების შესწავლა ცხადყოფს, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში გერმანიაში უკვე საკმაოდ ბევრი რამ იცოდნენ საქართველოს შესახებ და დადებითი წარმოდგენაც ჰქონდა მასზე.

გერმანელთა ხსენებული მიგრაციის წინაპირობები და გამომწვევი მიზეზები საფუძვლიანად აქვს შესწავლილი საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაცია სოვლაბს, რომელიც იკვლევს საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლადქცეული ადამიანების წარსულს.

სოვლაბის მოკვლეული მასალებიდან ვიგებთ, რომ 1816 წელს ქალაქ შტუტგარტში გავლით მყოფ რუსეთის იმპერატორს, ალექსანდრე I-ს გერმანული პროტესტანტული რელიგიის ჯგუფმა სთხოვა, ამიერკავკასიაში ჩასახლების უფლება მიეცა. იმპერატორმა მათ უარი არ უთხრა. თუმცა, იქვე დასძინა, რომ ამიერკავკასიაში შესაბამისი პოლიტიკური ნიადაგის მოსამზადებლად იმპერატორის ხელისუფლებას გარკვეული დრო დასჭირდებოდა.

ხსენებული ჯგუფის თხოვნას თავისი საფუძველი ჰქონდა, რომელიც სამი რაკურსით უნდა დავინახოთ: 1) იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტეს მიერ მთელი ევროპის ტერიტორიაზე გაჩაღებულმა დაპყრობითმა ბრძოლებმა ევროპული სახელმწიფოები და, მათ შორის, გერმანიაც საკმაოდ დააზარალა. ეკონომიკური კრიზისის გამო,

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ცხოვრება გაურთულდათ; 2) იმ პერიოდში გერმანიაში პროტესტანტულ ჯგუფებს ავიწროებდნენ; 3) მე-19 საუკუნის დასაწყისში გერმანელებმა უკვე ბევრი რამ იცოდნენ ქართველების სტუმართმოყვარეობისა და შემწყნარებელი ხასიათის, აგრეთვე ხელსაყრელი კლიმატური და აგრარული პირობების შესახებ.

ხსენებული რელიგიური ჯგუფები არ დაელოდნენ რუსეთის იმპერატორის ხელისუფლების მიერ პოლიტიკური ნიადაგის მომზადებას. 1817 წელს 7 ათასზე მეტი ადამიანი გამოემართა რუსეთის იმპერიისკენ. მათი ნაწილი რუსეთში, ნაწილი აზერბაიჯანში, ნაწილი კი საქართველოში შემოვიდა. მოგვიანებით მათ კოლონისტებს უწოდებენ. პირველი ჯგუფი 31 ოჯახის, უფრო ზუსტად – 181 ადამიანის შემადგენლობით საქართველოს დედაქალაქს 1817 წლის 30 სექტემბერს ესტუმრა. ისინი თბილისის აღმოსავლეთ მხარეს, 40 კილომეტრის დაშორებით მდებარე სოფელ სართიჭალის მახლობლად ჩაასახლეს. მაშინდელი ხელისუფლება გერმანელებს ფინანსური და სხვა რესურსებითაც დაეხმარა, რათა ცხოვრების დაწყება გაადვილებოდათ. პირველ დასახლებას მარიენფელდი უწოდეს.

გერმანელი კოლონისტების მეორე ტალღა საქართველოს 1818 წელს ესტუმრა. 1817-1818 წლებში გერმანელებმა ცხრა დასახლება შექმნეს: მარიენფელდი, ნოი ტიფლისი, ალექსანდერსდორფი, ალექსანდერსვიფი, პეტერსდორფი, ფრეიდენტალი, ანენფელდი, ელენენდორფი, ელიზაბეტალი. გერმანელთა მიგრაცია და საქართველოში ცხოვრება, დაახლოებით, ერთი საუკუნე გაგრძელდა. თუმცა, საბჭოთა რეჟიმის სისასტიკეს ვერც ისინი გადაურჩნენ. გერმანელთა რეპრესიები, თითქმის, ხუთი წლის განმავლობაში, 1941 წლამდე გრძელდებოდა. სტალინის ხელმძღვანელობით განხორციელებული ცნობილი სპეცოპერაცია „ბარბაროსას“ პერიოდში ათასობით გერმანელი შუა აზიის რესპუბლიკებში გადაასახლეს. მათ დაცარიელებულ დასახლებებში კი საქართველოს სხვადასხვა რეგი-

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ონის მოსახლეობა ჩაასახლეს. მაგალითად, რაჭის რეგიონში მცხოვრები ადამიანები გადაიყვანეს ელიზაბეტალში, რომელიც თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ასურეთთან მდებარეობდა.

რაჭიდან ჩამოსახლებული ერთ-ერთი ოჯახის შთამომავალი, ქალბატონი მანანა წულუკიძე გერმანელების შესახებ იხსენებს: „საბჭოთა რეჟიმი ოჯახებს ეუბნებოდა: თუ თქვენ გადახვალთ საცხოვრებლად ასურეთში, მაშინ თქვენს შვილებს ომში აღარ წავიყვანთო. ამიტომაც წამოსულან ჩემი წინაპრები აქ. თუმცა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, დაპირების მიუხედავად, ომში მაინც მიჰყავდათ მამაკაცები. უფროსი თაობის ადამიანები კარგად ახასიათებდნენ გერმანელებს. ამბობდნენ, რომ მათ ირიგაციის სისტემა, გზები და სხვა ინფრასტრუქტურა კაპიტალურად ჰქონდათ აშენებული. ორი საუკუნის წინათ გერმანელებს გზები ფილა ქვებით ჰქონდათ მოპირკეთებული. ამასთან, სოფელში შემორჩენილია მათ მიერ აშენებული, კომფორტულად მოწყობილი აბანო. გერმანელები სადაც ცხოვრობდნენ, ყველგან დიდ ყურადღებას აქცევდნენ თავიანთი ეზოებისა და ქუჩების სისუფთავეს. კაპიტალურად, ხარისხიანად აკეთებდნენ სანიაღვრე არხებსა და სარწყავ სისტემებს. შესაბამისად, მათი დასახლებები დაცული იყო ნიაღვრებისგან და, ამავე დროს, უხვი მოსავალიც მოსდიოდათ. ქართველებს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონიათ მათთან და ბევრსაც სწავლობდნენ ამ საოცრად გონიერი, შრომისმოყვარე ხალხისგან“.

5. სოლომონ ქურდიანი – ერთა მეგობრობისა და საქმის ერთგულების შესანიშნავი ნიმუში

ერთ-ერთი ისტორიული მოღვაწე, რომელიც საქართველოს ევროპელ მეგობრებთან მჭიდროდ თანამშრომლობდა ეკოლოგიის სფეროში, მათგან სწავლობდა და შემდგომ სხვებს უზიარებდა ცოდნასა და გამოცდილებას,

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

გახლდათ ქართველი მეტყევე-სელექციონერი, პროფესორი სოლომონ ზაქარიას ძე ქურდიანი.

1867 წელს კახეთის რეგიონში, საგარეჯოში დაბადებული სოლომონ ქურდიანი მე-19 საუკუნის ბოლოს უმაღლესი განათლების მისაღებად პოლონეთში გაემგზავრა. წარმატებით დაამთავრა ნოვოალექსანდრიის სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის ინსტიტუტი. 1900 წელს იქვე დატოვეს – მეტყევეობის კათედრაზე ასისტენტად. 1903 წლიდან პოლონელ სტუდენტებს უკითხავდა დენდროლოგიის კურსს, ხოლო რამდენიმე წელიწადში დენდროლოგიის სახელმძღვანელო გამოაქვეყნა.

პოლონეთში დღესაც ახსოვთ სოლომონ ქურდიანის ღვაწლი როგორც პედაგოგიურ და სამეცნიერო ასპარეზზე, ისე მისი პრაქტიკოს მეტყევედ მუშაობის პერიოდში. მან დიდი ამაგი დასდო არა მარტო მეტყევეების არაერთი თაობის აღზრდას, არამედ პოლონეთსა და საქართველოში ტყეების გაშენების საქმეს.

იგი 70 წლის ასაკში თავისი საქმის ერთგულებასა და სიმართლისთვის ბრძოლას შეეწირა. 1931 წელს საბჭოთა კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელობის საკავშირო დადგენილებით, საქართველოსა და რუსეთის ტყეები ერთ საექსპლუატაციო ზონად გამოცხადდა. ტაიგის მსგავსად, საქართველოს მთიან რაიონებში ტყეების ჭრა, მეცნიერთა აზრით, გამოიწვევდა მეწყერებს, ღვარცოფებსა და ეროზიას. ტყეების გადარჩენისთვის საჯარო კრიტიკული გამოსვლები მეცნიერს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. 1937 წელს იგი „ხალხის მტრად“ გამოცხადდა. დაპატიმრეს, სასტიკად აწამეს და დახვრიტეს. გაუნადგურეს შრომები და მისი ისედაც მწირი ქონების კონფისკაცია განახორციელეს.

სოლომონ ქურდიანის საფლავი დღემდე უცნობია. თუმცა, მისი მამულიშვილური საქმეები დავიწყებას არ მისცემია. მადლიერმა შთამომავლობამ ქალაქ თბილისში ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი უწოდა, ხოლო ქალაქ საგა-

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რეჯოს ცენტრში ამაყად დგას მისი ძეგლი. ყოველ წელს საგარეჯოს სტუმრობენ პოლონელი მეცნიერები და მეტყევეები. ქართველ მასპინძლებთან ერთად, ყვავილებით ამკობენ ძეგლს და სიყვარულით იხსენებენ მოღვაწეს.

6. ქართველი მწვანეების 34-წლიანი ბრძოლის ეპოპეა

მწვანე ღირებულებები რომ ქართველი ერისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამას შემდეგი ფაქტიც ცხადყოფს: საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიებიდან, რესპუბლიკელებთან ერთად, ასაკით ყველაზე უფროსი მწვანეთა პარტიაა.

1980-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოში დაიწყო ეროვნული მოძრაობა საბჭოთა იმპერიიდან განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. 1988 წელს ეროვნული მოძრაობის წიაღში ჩამოყალიბდა ეკოლოგიური ასოციაცია, რომელიც 1990 წელს მწვანეთა პარტიად გარდაიქმნა. მისმა ლიდერებმა დღის წესრიგში მწვავედ დააყენეს იმ დროისთვის ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიც იყო: გიგანტური ელექტროსადგურის – ხუდონჰესის მშენებლობის შეჩერება, სტიქიურად მიმდინარე უკანონო მშენებლობების გაკონტროლება, მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა, ტყეების უკანონო ჩეხვის აღკვეთა და სხვ. ქართველი მწვანეების მაშინდელი და შემდგომი აქტივობები დეტალურად არის აღწერილი 2012 წელს გამოცემულ, პროფესორ უჩა ბლუაშვილის წიგნში – „საქართველოს მწვანეთა პარტია: წარსული, აწმყო, მომავალი“. ამ წიგნს შემოუნახავს თუ რამდენი უბრძოლიათ ქართველ მწვანეებს ქვეყანაში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შესაქმნელად: „2006 წლის მაისში, „საქართველოს მწვანეთა პარტია“ „ევროპის მწვანეთა პარტიის“ მთავარი კომიტეტის შემადგენლობაში მიიღეს. ერთი თვის შემდეგ კი, ევრო-

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

პელმა მწვანეებმა მას სანქტ-პეტერბურგში დაგეგმილ „დიდი რვიანის“ სამიტზე ევროპის მწვანეთა დელეგაციის ხელმძღვანელობა დაავალეს“.

2009-2012 წლებში ამ პარტიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში ვმუშაობდი. შესაბამისად, მომსწრე ვარ იმ ძალიან თბილი, თანადგომაზე დაფუძნებული დამოკიდებულებებისა, რასაც უწყვეტად ვგრძნობთ ჩვენი ევროპელი მეგობრებისგან.

ქართველები გულწრფელად ვაფასებთ ევროპელი მეგობრების ყოველ დახმარებას. ექსპერტული დათვლებით, 1994 წლიდან დღემდე, სხვადასხვა დარგობრივი პროექტის განხორციელების მიზნით, საქართველომ ევროკავშირისგან 2 მლრდ ევროზე მეტი მიიღო. ამ ფინანსურ რესურსებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკოლოგიური პროექტების განსახორციელებლად დახარჯულ თანხას. მაგალითისთვის, რამდენიმე მათგანს ორიოდე სიტყვით შევეხებით.

საქართველოს პარლამენტის გვერდზე წარმოდგენილი ერთ-ერთი ინფორმაციიდან ვიგებთ: „წლების განმავლობაში, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) ტექნიკური დახმარება საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო და მოხარულები ვართ, გაგვეგო, რომ ეს კიდევ უფრო გაძლიერდება. გარემოს დაცვა SIDA-სთვის პრიორიტეტია. ამ ორგანიზაციის ძალიან დიდი სურვილია, რომ კიდევ უფრო დაგვიდგნენ გვერდში და გრძელვადიანი ხედვების მიმართულებით მაქსიმალურად შედეგიანი პოლიტიკა შევიმუშავოთ საქართველოსთვის. საუბარი იყო სხვადასხვა მიმართულებაზე. წინ გვაქვს სატყეო რეფორმა, წყლის რეფორმა, სამთო რეფორმა – ყველა ის საკითხი, რომელში ჩართვაც SIDA-ს ძალიან აინტერესებს“. ეს განაცხადა დეპუტატმა კახა კუჭავამ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის რანგში შვედეთს სტუმრობდა.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

2018 წელს ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის ვებგვერდზე საყურადღებო განცხადება გააკეთა, რომელიც შეეხებოდა საქართველოს ენერგეტიკის სექტორისთვის დახმარების გაწევას 30 833 668 ნორვეგიული კრონის რაოდენობით. „საქართველო გეგმავს განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარებას ელექტროენერგიის გენერაციის და მეზობელ ქვეყნებთან ექსპორტის გაზრდის, ასევე ბუნებრივი გაზის იმპორტის შემცირების მიზნით და ამგვარად უზრუნველყოფს ექსპორტიდან შემოსავლების ზრდას. საქართველოს აქვს კარგად ფუნქციონირებადი ენერგოსექტორი. ქვეყნისა და მისი ხელისუფლებისთვის მთავარი გამოწვევაა ენერგოსექტორის განვითარება და ღია, კონკურენტუნარიანი და ლიკვიდური ელექტროენერგიის ბაზრის შექმნა. ელექტროენერგიის საკანონმდებლო ბაზის სწორი იმპლემენტაცია ხელს შეუწყობს სტაბილური და უსაფრთხო სისტემის შექმნას. ამ მიზნის მისაღწევად, აუცილებელია გზამკვლევის მომზადება“ – განაცხადა ნორვეგიის საგარეო საქმეთა უწყებამ.

2020 წელს, საქართველოს ეროვნული სატყეო სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია ერთი მნიშვნელოვანი სიახლის შესახებ: „საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და სლოვენიის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების ცენტრს (CMSR) შორის საგრანტო ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. საგრანტო თანხა 563 540 ევროს შეადგენს, რომელიც სრულად მოხმარდება პროექტის – „ტყის მდგრადი მართვა ადიგენის მუნიციპალიტეტში“ განხორციელებას. პროექტი სატყეო რეფორმის შემადგენელი ნაწილია, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ტყის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებით მართვას, არამედ ადიგენის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას. ბენეფიციარები (მიმღებები) იქნებიან ადიგენის ადგილობრივი

მოსახლეობა და მათ მიერ ორგანიზებული საზოგადოებრივი გაერთიანებები (სათემო კავშირები)“.

ორიოდ სიტყვა არასამთავრობო სექტორზეც უნდა ითქვას. ალბათ, რამდენიმე მოცულობითი სტატიაც არ ეყოფა იმ დახმარებათა აღწერას, რასაც ჩვენი ევროპელი პარტნიორები საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს უწევენ. CENN, Rec-Caucasus, „კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი“, „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები“ და არაერთი სხვა ორგანიზაცია სწორედ ამ დახმარების მეშვეობით ახორციელებს ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან, საინტერესო პროექტებს.

7. კლიმატის ცვლილებები – ერების ძლიერი გამაერთიანებელი

უცხოელი მეგობრებისა და პარტნიორების მტკიცე თანადგომის ნათელი გამოხატულებაა თუნდაც ის, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველო შეუერთდა ეკოლოგიასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა საერთაშორისო კონვენციას, მათ შორის, „2015 წლის პარიზის შეთანხმებას“. ეს გლობალური მასშტაბის დოკუმენტი მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების შერბილებასა და ახალ ეკოლოგიურ გარემოსთან მოსახლეობის ადაპტაციის ხელშეწყობას. შეთანხმებას მსოფლიოს 192-მა ქვეყანამ მოაწერა ხელი. შესაბამისად, თითოეულმა იკისრა თავისი წილი პასუხისმგებლობა ეროვნულ დონეზე.

ამ ფაქტის კვალდაკვალ, ევროპის თითქმის ყველა ქალაქსა და მუნიციპალიტეტში ამოქმედდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი – „მერების შეთანხმება“, რაც ითვალისწინებს კლიმატის ცვლილების შედეგად შექმნილ ეკოლოგიურ გარემოში სათბურის აირების ემისიების შემცირებას 2030 წლისთვის, ენერგეტიკული რესურ-

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

სების დაზოგვასა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობას.

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ინიცირებით, 2018 წელს კახეთის რეგიონის რვა მუნიციპალიტეტის მერებმა ხელი მოაწერეს „მერების შეთანხმებას“. შემდგომში ამ შეთანხმებას საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებიც შეუერთდნენ. ამავდროულად, ევროპელი ექსპერტების დახმარებით, მომზადდა არაერთი მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა, დაისახა განსახორციელებელი ღონისძიებები და დაიწყო მათი პრაქტიკაში რეალიზების სამუშაოები.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ „2015 წლის პარიზის შეთანხმებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროცესში, სახელისუფლებო სტრუქტურებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ქართული ბიზნესის წარმომადგენლებიც აქტიურად არიან ჩართულნი. მაგალითად, სასმელების მწარმოებელმა ფირმა „ეფეს საქართველომ“ ჩვენს ქვეყანაში მოქმედ ორ პარტნიორ კომპანიასთან გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც, ისინი განახორციელებენ ერთობლივ გარემოსდაცვით პროექტებს.

ქართველმა ერმა, რომლის ისტორიაში უხვად გვხვდება ევროპული ღირებულებების ერთგულების ფაქტები, თვითონაც კარგი მეგობრობა იცის და სხვათა მეგობრობასაც ძალზე აფასებს. ასეა ეკოლოგიაშიც და ყველა იმ სფეროში, რაც ევროპულ სახელმწიფოებთან გვაკავშირებს.

ლიტერატურა ▫ References

1. აბაშიძე ზაზა, ბახტაძე მიხეილ, ჯანელიძე ოთარ (2013). საქართველო და ქართველები. თბილისი: „ფავორიტ პრინტი“.
2. ბლუაშვილი უ. (2012). საქართველოს მწვანეთა პარტია – წარსული, აწმყო, მომავალი.

3. გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება (2-6 ნოემბერი, 2015). საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული, თბილისი [dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/321236/1/Shromata_Krebuli_2015.pdf]
4. „დავით გარეჯი „ევროპა ნოსტრას“ საფრთხეში მყოფი ძეგლების ფინალურ სიაში მოხვდა“ (2018) [reginfo.ge].
5. ენციკლოპედია-ლექსიკონი (2018). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; ლილუაშვილი მ., „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921)“, გვ. 461-462.
6. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „მერების შეთანხმება აღმოსავლეთი“ (CoM East, 2011-2020), მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის საქართველოში [com-east.eu/ka/about].
7. ეროვნული სატყეო სააგენტოსა და სლოვენიის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების ცენტრს (CMSR) შორის საგრანტო ხელშეკრულებას მოეწერა ხელი (22 აპრილი, 2020). ეროვნული სატყეო სააგენტო [forestry.gov.ge/ge/News/Details/88].
8. თათარაშვილი ნესტან (22 მაისი, 2017). გერმანელი კოლონისტების არქიტექტურა საქართველოში. ქართულ-გერმანული არქივი [german-georgian.archive.ge/ka/blog/15].
9. ინოვაციური კვლევების ასპექტები აგრარულ მეცნიერებებში (2021). სსმმ აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ გურამ ტყემალაძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომათა კრებული, თბილისი: საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ [dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/371856/1/InovaciuriKvlevisAspeqtebiAgrarulMecnierebebshi.pdf].
10. კახაბერ კუჭავა: შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო გარემოს დაცვის მიმართულებით საქართველოს ტექნიკურ მხარდაჭერას გააგრძელებს (7 დეკემბერი, 2017). საქართველოს პარლამენტის ოფიციალური საიტი [parliament.ge/media/news/kakhaber-kuchava-sida-will-enhance-technical-assistance-in-environmental-protection].
11. კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე (2-4 ოქტომბერი, 2014). საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული [dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/321230/1/Shromata_Krebuli_2014.pdf]
12. „მავნებელი“ პროფესორები, შსს არქივი, ფონდი 6, საარქივო 371058-07, ტომი 3, ყუთი 219, ქურდიანი ს. ზ. [ბოლშევიზმი და

ქართული ლიტერატურა 1921-1941 წლებში (bolshevizmi.blogspot.com/2015/02/blog-post.html)].
13. მაკალათია სერგი (1941). სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოება, თბილისი: პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“ [dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6063/3/Samegrelos_Istoria_da_Etnografia.pdf].
14. საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოგია (2022) [mfa.gov.ge].
15. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (1986). ტომი 10, თბილისი; დარახველიძე ვ., „სოლომონ ქურდიანი“, გვ. 574 (ქურდიანი სოლომონ), საქართველოს ეროვნული პარლამენტის ბიბლიოთეკა [dspace.nplg.gov.ge/handle/1234/19650?mode=full].
16. ჩაფიძე ანზორ (2007). საქართველოს ბუნების ქომაგები, თბილისი.
17. წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები (1-5 ნოემბერი, 2018). საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VIII საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის შრომათა კრებული, თბილისი [dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/299956/1/Konferenciis_Masalebi_2018_VIII.pdf].
18. წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები (25-27 ივლისი, 2019). საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი IX საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის შრომათა კრებული, თბილისი [dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/312929/1/Konferenciis_Masalebi_2019_IX.pdf].
19. ჭყონია ალექსანდრე (1890). ისტორიული ნარკვევი ანუ ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის უძველეს დროიდამ ბაგრატიონთ გამეფებამდე. ტფილისი: კ. გ. მესხიევისა და ს. ა. პოლეტაევის ტიპო-ლითოგრაფია.
20. ჯავახიშვილი ივანე (1927/2012). ქართველი ერის ისტორია. ტომი I, თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“.
21. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ (5 აპრილი, 1991), №67, გვ. 1.
22. Procopius: History of the Wars (1914). Vol. 1, Books 1-2, Harvard University Press.